საქართვ. ლომ. მუშარ... სარევ. პარტია. წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 ...
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. ... ჩერვონ.

№ 571 ხუთშაბათი, სექტემბრის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

## სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი

ა. წ. სექტემბრის 16-იდან სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ანახლებს ყოველ-კვირეულ სალიტერატურო გაზეთის გამოცემას; ნაცვლად „ლომისი“-სა გამოვა კვირას 16 სექტემ.

## ხომლი

მონაწილეობას მიიღებენ ყველა ცნობილი ქართველი მწერლები.
მისამართი: ხელოვანთა სასახლე (სერგის ქუჩა № 13) ტელეფონი № 17—51.

3—3

კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.

# დღიური

— ამერიკის წითელი ჯვარი აგროვებს 10 მილ. დოლარს იაპონიის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— ს. ს. რ. კ. ყოველ კუთხეში სწარმოებს იაპონიის მშრომელთა სასარგებლოდ შეწირულების შეგროვება.

— ტოკიოში დაილუპა მუზეუმი და წიგნთსაცავი.

— იოკაჰამში გაჩნდა ხოლერა.

— კალიფორნიის ახლოს დაილუპა ამერიკის 2 ნალმოსანი.

— იტალიამ გადასწყვიტა განაგრძოს კორფუს ოკუპაცია, ვიდრე საერთაშორისო ტრიბუნალი დაადგენს, რამდენი უნდა გადაიხადოს საბერძნეთმა.

## გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 15-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 4.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 5.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 200.000 „

## ფაშისტური იმპერიალიზმის საკენკი

ფაშისტურმა იმპერიალიზმა საკენკი იშოვა. ელჩთა კონფერენციის დადგენილებას დაემორჩილა საბერძნეთი. ეს კი უდრის მუსოლინის ულტიმატუმის დაკმაყოფილებას. ვინც გაცნობილია მუსოლინის ულტიმატუმისა და ელჩთა კონფერენციის დადგენილების შინაარს, მისთვის ცხადი იქნება, რომ მუსოლინმა მიაღწია თავის მიზანს.

ცხადია, ფაშისტების მოღვაწეობის პირდაპირი შედეგი არ არის იტალო-საბერძნეთის კონფლიქტის ამ გვარი დასრულება. დღევანდელ პატარა ომებს, პატარა ხასიათის კონფლიქტებს არა პირდაპირი გზით აწარმოებს დიდი ძალები, დიდი სახელმწიფონი, რომელნიც კულისებში აწყობენ ავანტიურებს. როგორც საბერძნეთ-ოსმალეთის ომი ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა დაპირისპირების დემონსტრაცია იყო, ისე იტალო-საბერძნეთის კონფლიქტშიაც ამ სახელმწიფოთა ინტერესები ეჯახებოდენ ერთმანეთს.

თუ ერთი მხრით ხმელთა შუა ზღვაზედ ბატონობისათვის დიდი ხნობით იბრძოდა იტალეთი და საბერძნეთი, მეორე მხრით ევროპის დღევანდელ მესვეურთა ინტერესებიც ეხეთქებიან ამავე საკითხს.

დიდი ხანია რაც მოკავშირეთა შორის უთანხმოებასა და წინაალმდეგობას ადგილი აქვს. ყოველი მომენტი საერთაშორისო პოლიტიკისა იტევს ამ წინაალმდეგობის ელემენტებს. ამავე დროს ყოველი საშუალება არის მიღებული იმისთვის, რომ არსებული მდგომარეობა შეინარჩუნონ, წინაალმდეგობის ფაქტიურ დაპირისპირებას აცდენ. აქაც, დღეს დღეობით მოიხსნა საკითხი იტალო საბერძნეთის კონფლიქტისათვის. ამას მოითხოვდა დღევანდელი ურთიერთობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის, თუმცა წინაალმდეგის შესაძლეობაც არ იყო მოხსნილი.

დღეს ობიექტიური პირობების წყალობით ფაშისტური იმპერიალიზმის მამა ამაყობს, საბერძნეთის უკიდურესად გამწვავებული სოციალ ეკონომიური პირობები არ ქმნიდა შესაძლებას, რომ იგი დათმობაზედ არ წასულიყო. თუ თავს არ იჩენდა საგარეო ძალთა ურთიერთობა, რომელიც ასე თუ ისე გადაწყვეტდა საკითხს, საბერძნეთი ცხადია ვერ შესძლებდა საკუთარი ძალით გამკლავებოდა ფაშისტურ ძალებს. ამიტომ მას შეაქვს შვეიცარიის ბანკში მოთხოვნილი თანხა, ამიტომ საბერძნეთის მთავრობა ესწრება მოკლული პოლკოვნიკის დასაფლავების ცერემონიალს.

ცხადია კონფლიქტის დღევანდელი სახე კიდევ არ ნიშნავს მის საბოლაო მოგვარებას. წინაალმდეგობათა დაძლევა არ ძალუძს იმპერიალისტებს, რადგან იმპერიალიზმი ბუდეა წინაალმდეგობათა უთანხმოების.

## მუშათა მთლიანი კოოპერატივის ორი წლის თავი.

კოოპერაციას თავისი წარსული აქვს.

საქართველოში ამ ათეულ წლის განმავლობაში ფრიად გაიზარდა კოოპერატიული ორგანიზაციები და მის წესიერ განვითარებას ხელი შეუწყო, როგორც უფლებრივ მატერიალურმა დახმარებამ, ისე კოოპერაციის საკითხის გარშემო ატეხილმა აგიტაცია-პროპაგანდამ, საქართველოში სხვა და სხვა სახის კოოპერატივები დაარსდა; სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელი და ყველა ეს კოოპერატივები ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში იყრიდა თავს.

მკითხველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა კოოპერატივის როლის და მნიშვნელობის შესახებ სოც.-ფედერალისტების და სოც.-დემოკრატების შორის. ეს უკანასკნელნი კოოპერაციის მნიშვნელობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კოოპერაციას ჯეროვანი ყურადღება მიექცა. დაარსდა ეგრედ წოდებული მუშათა კოოპერატივები.

მუშათა მთლიანი კოოპერატივი აშენდა სასურსათო კომიტეტის ნანგრევებზე. 1921 წ. მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი იყო მოწვეული, რომელმაც გამოიმუშავა პირველი სამუშაო გეგმა, დაგზავნა თავისი რწმუნებულები სურსათ-სანოვაგის შესაძენად რაიონებში, სათადარიგო თანხა იშოვა და რამდენიმე თვის შემდეგ მუშკოპის (მუშათა კოოპერატივის) გამგეობამ გახსნა რამდენიმე განყოფილება ტფილისში. ამის შემდეგ გაფართოვდა კოოპერატივის საქმე.

1923 წ. მარტში მუშკოპთა რწმუნებულთა პირველი ყრილობა გაიხსნა, სადაც აირჩიეს გამგეობა 11 კაციდან და სარევიზიო კომისია, გამომუშავებულ იქმნა და დამტკიცებული წესდება და მომავალი ორგანიზაციული მუშაობა.

ამ წლის აგვისტოს 20-ს რწმუნებულთა მეორე ყრილობამ გამგეობა 5 კაცამდე დააყენა. საპაიო გადასახადის სისტემის მოგვარებამ, პროფორგანიზაციათა დახმარებამ მუშების ჩაწერვით, წევრების გადიდებამ, საკმაო თანხის ბრუნვამ, მუშკოპის მუშაობა გააფართოვა, გაზარდა მისი წარმოება: დაარსებულ იქმნა სასოფლო-სამეურნეო, საბანკო, სავაჭრო განყოფილებანი. მუშკოპი უკვე მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებაა და მისი სარბიელი ისაზღვრება არა მარტო ქალაქის მუშათა კლასით და პროლეტარული ნაწილით, არამედ გლეხობით, მიწის მუშებით.

მუშკოპმა მიატოვა საპნის და სანთლის ნაწარმოებთა დამუშავება და მოაწყო რძის და მისი ნაწარმოებთა ორგანიზაცია. ეს არის უდიდესი და მიზანშეწონილი ნაბიჯი, რომელიც სოფლის და გლეხის ნაწარმოებთა გადაცვლა უშუალოდ, სოფლის პროდუქტების მიწოდება ქალაქის პროლეტარიატისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ეს მოვლენა კოლექტიურ მეურნეობის გაჩაღებას ხელს შეუწყობს და კერძო კაპიტალს, ჩარჩს გამოდევნის, გამოაძევებს სოფლიდან.

მუშკოპის როლი სამეურნეო ორგანიზაციების შექმნით სოფლებში, სასოფლო-სამეურნეო, საბანკო, სავაჭრო თუ მომხმარებელი კოოპერატივების დაარსებით წინ წასწევს ჩვენი ქვეყნის უდიდესს ნაწილს—გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას.

არის მეორე მომენტი მუშკოპის ცხოვრებაში. მუშკოპის გამგეობამ უნდა გაიხსნას მუშათა უბნებში, მუშათა თავისი დუქნები. ეს არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში, მაგ. საბურთალოზე, ერთობის უბანშიც სხვა

მეტი ალმშენებლობითი მუშაობა და ენერგიის გაღება მისცემს საშუალებას კოოპერატივებს თვისი საქმის გასაკეთებლად. კოოპერაციას დიდი როლი აქვს დაკისრებული საქართველოში. მუშკოპს შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს. ამის თავდები თვით მისი წარსულია. ვუსურვებთ მუშათა კოოპერატივს ღარიბ გლეხის და მუშის სადარაჯოზე შეესრულებინოს თავისი მოვალეობა.

გრიგალი.

# რადიო-დეპეშები

## ზაკროსტას ცნობები 12 სექტემბრიდან

### იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

მუსოლინმა აცნობა იტალიის ელჩს პარიზში, რომ იტალია იწონებს საბერძნეთისადმი მიმართულ ელჩთა კონფერენციის ნოტას. იგი ხაზს უსვამს, რომ იტალია მზადაა ევაკუაციისათვის, როგორც კი საბერძნეთი შეასრულებს პირობებს.

გაზეთ „პოლიტიკენის“ ჟენევის კორესპოდენტთან საუბარში შვეციის წარმომადგენელმა „ერთა ლიგაში“, სოციალისტ ბრანტინგმა განაცხადა, რომ საფრანგეთის პოზიციამ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში მეტად გული გაუტეხა შვეციას. დამახასიათებელია, რომ ბრანტინგი აქამდის დიდი მომხრე იყო საფრანგეთისა.

როგორც იტყობინება „ტაიმსი“, იტალიის მთავრობას გადაუწყვეტია კორფუსა და ახლო მდებარე კუნძულების ოკუპაცია იმ დრომდე, ვიდრე საერთაშორისო ტრიბუნალი ჰააგაში საბოლოოდ არ დაადგენს, თუ რამდენი უნდა გადაუხადოს საბერძნეთმა იტალიას. ამ საკითხს შეუძლია გასტანოს რამდენიმე თვეს.

ასეთი გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი იყო ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის.

როგორც ეტყობა, იტალიას სურს ამ დროს განმავლობაში კორფუ გადაქციოს სამხედრო ბაზად, რომელიც გამოადგება სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგოდ ფიუმეს საკითხის გამო.

საბერძნეთის დელეგატი „ერთა ლიგაში“ პოლიტისი მოითხოვს მალე გადასწყდეს კომპენსაციის საკითხი, რათა იტალიას საბაბი აღარ ქონდეს ოკუპაციის გაგრძელებისა.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ კორფუს ევაკუაციის დაგვიანებას შეუძლიან გამოიწვიოს ახალი ინციდენტები.

ევაკუაციის დაწყების დრო, როგორც ფიქრობენ, დანიშნული იქნება ელჩთა კონფერენციის მიერ. ლონდონში მეტად ღელავენ და ეშინიანთ ინციდენტებისა კორფუს ევაკუაციის დროს.

ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნით, „ერთა ლიგის“ საბჭო მაინც აღძრავს კორფუს საკითხს, რათა მცირე სახელმწიფოთ შეძლება მიეცეთ პროტესტი განაცხადონ იტალიის პოლიტიკის გამო.

მუსოლინმა აცნობა ელჩთა კონფერენციას, რომ კორფუს ევაკუაცია არ მოხდება იმ დრომდე, ვიდრე საბერძნეთი სრულიად არ შეასრულებს კონფერენციის მიერ მიცემულ დავალებას.

ამასთანავე მას ჯერ არ გადაუწყვეტია, მოხდება ევაკუაცია ჰააგის ტრიბუნალის მიერ თანხის გადაწყვეტამდე, თუ შემდეგ, ისე რომ საბერძნეთს მოუხდება მოიცადოს 1 თვემდე.

პრესის ნაწილი მოუწოდებს მუსოლინს თავი ანებოს კონფლიქტის გაგრძელებას და დაკმაყოფილდეს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებით.

ოკუპაციის გამო მომხდარ ხარჯების ანაზღაურების საკითხი გადაეცემა ჰააგის ტრიბუნალს.

### გერმანიის ამბები

**ბერლინი.** მიუხედავად მთავრობის მიერ აღკრძალვისა, ბერლინში მაინც შესდგა ბრანდერბერგის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა, რომელსაც დაესწრო, 3,000 ამომრჩევლის წარმომადგენელი, 150 დელეგატი.

მიუხედავად კომუნისტური პრესის შეჩერებისა ყრილობის წინ, უკანასკნელი მეტად მომზადებული აღმოჩნდა.

მიღებულ რეზოლიუციაში აღნუსხულია მთელი პროგრამა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოქმედებისა—მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის ლოზუნგით.

**ბერლინი.** გერმანიის მუშათა მდგომერეობა უარესდება, რადგანაც ფასებმა აიწიეს 50-პროც. და გარდა ამისა, წარმოების ზოგიერთ დარგში შეამცირეს ხელფასი. სამედიატორო განაჩენების გამოტანის დროს მართებლობა მხარს უჭერს მწარმოებლებს.

**ბერლინი.** პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობამ შეამზადა საზოგადოებრივი და მწარმოებლებთან შეთანხმებით მზადაა შეუდგეს საფრანგეთთან მოლაპარაკებას, რათა საბოლოოდ გადასწყვიტოს რურის კონფლიქტი და სარეპარაციო საკითხები. პრესა ამას ცხადათ აღიარებს. სოც.-დემოკრატიულ წრეებში ამტკიცებენ, რომ მთავრობას უნდა მიეცეს უფლება გადასწყვიტოს, რამდენად ხელსაყრელია წინადადებით გამოსვლა პარიზში, ბრიუსელში და ლონდონში. პროფკავშირები და სრულიად გერმანიის მწარმოებელთა კავშირი თანაგრძნობით ხვდებიან მთავრობის პოლიტიკას და აღიარებენ, რომ ვალიუტის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ შეთანხმებით საფრანგეთთან. რურის საკითხის სასწრაფო ლიკვიდაციას ასაბუთებენ აგრეთვე მით, რომ რურის ოლქის მუშათა შორის დღითი-დღე ძლიერდება დემორალიზაცია. „ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით, შესაძლებელია, მოლაპარაკება მომავალ კვირაში დაიწყოს.

### მუშათა მოძრაობა

**ოდესა.** ოდესისა და ნიკოლაევის ოლქების გლეხობამ დაპატიმრებულ რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებაში მოიტანა თავისი პირველი საჩუქარი—პურის ტრანსპორტი. შესაგროვებელ პუნქტისაკენ მიემართება მთელი რიგი გლეხთა ურმებისა, რომლებიც მორთულია ბაირაღებითა და წარწერებით: „გაუმარჯოს გერმანიის მომავალ რევოლიუციას“.

**უფა.** დიდის ზეიმით გაიხსნა სრულიად ბაშკირთა პროფკავშირთა მე-5 ყრილობა. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქმნენ ამხ. ლენინი, ზინოვიევი და ტომსკი. ყრილობაზედ გამოცხადდა 122 დელეგატი, რომელთაგან 88 კომუნისტია.

**ანგორა.** (ოსმალეთი). კონსტანტინოპოლში გაზეთების მომუშავენი გაიფიცნენ, თხოულობენ ხელფასის მომატებას. გამოდის მხოლოდ ერთი გაზეთი.

**ანგორა.** აიდინში გაიფიცნენ რკინის გზაზედ მომუშავენი, რომელნიც თხოულობენ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ნიუ-იორკი.** პიტსბურგში დააპატიმრეს მუშათა პარტიის რამდენიმე წევრი, რომელთაც სიტყვები წარმოსთქვეს მიტინგზედ. დაპატიმრებულთ ბრალდებათ საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დარღვევა.

**სტოკჰოლმი.** (შვეცია). სტოკჰოლმის მელითონეთა კავშირში მიღებულ რეზოლიუციაში პროტესტს აცხადებს ფინეთის მუშების დევნის გამო და წინადადებას აძლევს კავშირის გამგეობას და ცენტრალურ პროფორგანიზაციას მიიღონ ზომები ჩაგრულ მუშების დასაცავად.

### მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიის პრესის ცნობით მიწის ძვრის ცენტრი იყო კუნძული ოშიმა. სულ დაზარალდა 5 რკინის გზის ხაზი, მიმავალი ტოკიოში. რკინის გზის მოკლე ხანში აღდგენის შეუძლებლობის გამო მიღებულია ზომები საზღვაო მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის.

1500 მუშის გვამი, რომელნიც მწარმოებელმა ჩაკეტა ფუსის ფაბრიკის შენობაში და იქ დაილუპნენ მიწის ძვრის დროს, ჯერაც არ დაუსაფლავებიათ.

იაპონიის გაზეთების ცნობით, ურუგში აბრეშუმის სართვ ქარხნის ნანგრევებში დაილუპა 2,000 მუშა.

ამერიკის წითელი ჯვარი, როგორც ფიქრობენ, განზრახულ 3 მილიონ დოლარის მაგიერ, შეაგროვებს 10 მილიონ დოლარს იაპონიის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ. კ. ყოფილ კუთხიდან მოდის ცნობები იაპონიის მშრომელთა დასახმარებლად შეწირულების შეგროვების შესახებ.

ლენინის სახელობის გემით იაპონიაში გაიგზავნა 11 სანიტარული რაზმი.

ტოკიოში დაიღუპა ძვირფასი მუზეუმი და წიგნთ-საცავი.

იოკაჰამში გაჩნდა ხოლერა.

ტოკიოში გაზეთების გამოსვლა განახლდა.

# უცხოეთი

**ვენა.** პარიზიდან მიღებულ ცნობით პაშიჩმა მიიღო პუანკარეს წინადადება თავის შუამავლობის შესახებ ფიუმეს საკითხში. პაშიჩის განცხადებით, სამხრეთ-სლავია არ აიღებს ხელს თავის მოთხოვნილებაზედ, რაიც გამოიხატება ფიუმეს თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადებასა და ბაროშის ნავთსადგურზედ სამხრეთ-სლავიის სუვერენიტეტის აღიარებაში. თუ საფრანგეთის შუამავლობა ვერ გამოიღებს შედეგს, მაშინ სამხრეთ-სლავია ამ საკითხს გადასაწყვეტად გადასცემს შვეიცარიის პრეზიდენტს.

**ვარშავა** (პოლონეთი). მარკის კურსი, რომელიც მთელი თვე ერთ დონეზე იდგა, სწრაფად ეცემა. შავს ბირჟაზედ დოლარი ღირს 300,000 მარკა.

**კოვნო** (ლიტვა). ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ინგლისის ადმირალს ბერტის, მისთვის ორდენის გადაცემის დროს, მადლობა გადაუხადა იმ ზნეობრივ დახმარებისათვის, რომელსაც უწევს ინგლისი ლიტვას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

**ანგორა** (ოსმალეთი). ანგორაში ჩამოვიდა ჰუნგრეთის სავაჭრო დელეგატი.

**რომი.** იტალიის მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა 1700 კაცი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე. ელოდებიან კიდევ 1,000 მოსამსახურის დათხოვნას.

**რომი.** მინისტრთა საბჭოში მუსოლინმა განაცხადა, რომ რურის ოლქში მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს საკითხის მოკლე ხანში გადაწყვეტას. რაც შეეხება ფიუმეს, მუსოლინს იმედი აქვს, რომ სამხრეთ-სლავიასთან მოლაპარაკება სასურველ შედეგამდე მიიყვანს.

**ნიუ-იორკი.** კალიფორნიის ახლოს, ბუროუსის გამო, დაიღუპა 2 ნაღმოსანი. დაიღუპა ოცდასამი კაცი.

**ნიუ-იორკი.** საზღვაო დეპარტამენტის ცნობით, 25 ოქტომბერს, განიარაღების შესახებ ვაშინგტონის შეთანხმების შესასრულებლად, გაიყიდება 10 დასამთავრებელი სამხედრო გემი. გარდა ამისა, 18 თვის განმავლობაში გაყიდულ იქნება კიდევ 11 სამხედრო გემი.

**თეირანი** (სპარსეთი). კაბინეთის რეკონსტრუქციის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, შესდგა ანგლოფილური პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც თავის თავს დემოკრატ-ნაციონალისტებად სთვლის და სცდილობს გამოიყენოს საზოგადოებრივი აზრი.

**თეირანი.** მესოპოტამიაში მუშტეხილების დაბრუნების საკითხში ინგლისის პოზიციის მერყეობის გამო,

ადგილობრივი პრესა დაჟინებით ურჩევს მთავრობას უარი უთხრას ინგლისელებს ნავთიან ადგილების კონცესიებზედ სამხრეთ ქურთისტანში.

**სტოკჰოლმი.** (შვეცია). შვეციის საზღვაო მართებულობა მოითხოვს ფლოტის გაძლიერებას ოთხი მმუსვრელით, 3 წყალქვეშა ნავით და 2 ნაღმოსანით.

**ვენა.** ავსტრიაში საარჩევნო კამპანია ვითარდება. მთლიანი ბურჟუაზიული ფრონტის შექმნა ვერ მოხერხდა. ნაციონალ-სოციალისტებს განზრახვა აქვთ პარტიულ კონგრესს მიაღებინონ დადგენილება არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. ლიბერალური პრესა მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატებს. კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება, სადაც აღნიშნულია მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის ბრძოლის საჭიროება და ამ ბრძოლისათვის სოციალურ კანონმდებლობის დაცვა, პოლიციისა და ჯარის გაწმენდა კონტრრევოლიუციონერებისაგან და საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის დამყარება.

# ახალი ამბავი

— **დახმარება ლანჩხუთის სახალხო სახლს.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა მიეცეს ლანჩხუთის სახალხო სახლის სააღმშენებლო კომიტეტს ერთი მილიარდი მანეთი.

— **ქალაქში გამრავლებულ ვირთხებთან ბრძოლა.** ქალ. აღმ. მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: ვინაიდან ვირთხები ავრცელებენ სხვა და სხვა გადამდებ ავადმყოფობას, რისთვისაც საჭიროა მათ წინააღმდეგ ქიმიური—მექანიკური საშუალებით ბრძოლა. დაევალოს ჯანმრთელობის განყოფილებას წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, მიიღოს შესაფერისი თანხა და უვასოთ დარიგებული იქნას ვირთხების საწინააღმდეგო საწამლავები, შესაფერისი ახსნა-დარიგებით.

— **შუამდგომლობა.** სახელმწიფო კინო-მრეწველობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ქ. აღმასკომის წინაშე ხელთნაწერების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რაც შეუწყნარებელი იქნა აღმასკომის მიერ.

— **ვენერიულ საავადმყოფოსთვის.** ქალ აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა, ტფილისის მე-3-ე ვენერიულ საავადმყოფოს ასაშენებელი ხარჯების 75 პროცენტი მიიღოს ხაზინიდან.

— **სესხი ქუთაისის საქსოვ ქარხანას.** საქ. სახ. კომისართა საბჭო შუამდგომლობს ა. კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რომ ქუთაისის საქსოვ ქარხანას გაეხსნას გრძელ ვადიანი სესხი 3.500 ჩერვონცების რაოდენობით.

— **საცხოვრებელ ბინების დეკრეტი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო საცხოვრებელ ბინების დეკრეტის პროექტი ზოგიერთ მუხლების მცირეოდენ შესწორებით.

— **გადასახადის აკრეფა სამხრეთ-ოსეთში.** სამხრეთ ოსეთში უკვე დაიწყო მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრება.

— **აგარაკ შოვის დათვალიერება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გაგზავნა თავის წარმომადგენელი აგარაკ შოვის დასათვალიერებლად. აგარაკის დათვალიერების დროს ბევრი სამკურნალო მინერალური წყლები აღმოჩნდა.

— **აგრონომიული ტეხნიკუმი თელავში.** თელავის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა, განათლების სახ. კომისარიატს, რათა ქ. თელავში დაარსებული იქნას აგრონომიული ტეხნიკუმი, რომლისათვის ძალები ადგილობრივ საკმაოდ მოიპოვებიან.

— **ბრმათა სკოლა.** ტფ. ბრმათა სკოლაში 1-ლ აგვისტოსთვის ირიცხებოდა სულ 30 მოწაფე (ორივე სქესის), აგვისტოში ახალი მოწაფეები არ მომატებია, ამ თვის განმავლობაში მოწაფეთა მიერ გაკეთებული ჩოთქების, კალათების, და სხვა ნივთების გაყიდვის შემოსავალი უდრის 75,756,000 მანეთს.

— **მუშაობის დაწყება დაწესებულებებში.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით მიმდინარე თვის 15 სექტემბრიდან ყველა დაწესებულებაში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათზე. შესწყდება ნაშუადღევის 3 საათზე.

— **„ვაზის ჯვარი“.** გრიგოლ რობაქიძის 3 მოქმედებიანი პიესა მისტერია „ვაზის ჯვარი“ დაიდგმება მომავილ სეზონში რუსთველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მიერ.

— **შრომის ბირჟა.** 10 სექტებერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 646 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 178 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 43 უმუშევარი.

— **ტრამვაის ახალი ლიანდაგი.** 10 სექტემბერს გაიხსნა ნავთლუღის ხაზზე [illegible] ტრამვაის მიმოსვლა.

— **ქურდობა.** მე-3-ე სამილიციო რაიონში კადეტის ქ. № 12 გაქურდული იქნა მოქ. [illegible] ლოზ ჩიქოვანის ბინა საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 300,000,000 მან. ბოროტ მომქმედი ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— მე-3-ე სამილიციო რაიონში რუსთაველის პრ. № 8 გაქურდული იქნა მოქ. ვასილ კალეინის მაღაზია. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 408 მილიონის მანეთისა. ბოროტ მომქმედი ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ბინის გაქურდვა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში ტალიანის ქუჩა № 15 გაქურდული იქნა მოქ. ვლადიმერ შვემტოვსკის ბინა მისი სახლში არ ყოფნის დროს. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 500 მილიონ მანეთისა. ბოროტმომქმედი არ არის აღმოჩენილი.

— **შოფერის დაუდევრობა.** მე-6-ე სამილიციო რაიონში, ქართულ დივიზიის შოფერი კერესელიძე დაეჯახა ცხენოსან ლეგიონის წითელ-არმიელს, ცხენი იქნა მოკლული და წითელ არმიელს დაუშავდა ფეხი. წითელ არმიელი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში, მხოლოდ შოფერი კერესელიძე კი დაპატიმრებულია.

— **ცოლის დაჭრა.** მანგლისის რაიონში მოქ. ავგუსტიანმა მძიმეთ დასჭრა ცოლი. დამნაშავე ქმარი დაპატიმრებულია.

— **ვალიუტის კურსი.**

12 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 44,500,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 43,200,000 | „ |
| ჩეკი. | 42,500,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 9,400,000 | „ |
| ჩეკი. | 8,700,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,050,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 20,500 | „ |

# სასამართლოს რეფორმა

15 ენკენისთვიდამ ამა წლისა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქნება შემოღებული ფრიად შესანიშნავი რეფორმა აწ არსებულ სასამართლოებში.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ უმთავრესს რეფორმებს იმის ჩვენებით, თუ რამ გამოიწვია იგინი.

დავიწყოთ სახალხო სასამართლოებიდან. აქამდისინ სახალხო სასამართლოები სამი პირისა და ხანაც შვიდი პირის შემადგენლობით არჩევდნენ

# ძველი თამასუქები

3.

**მემარცხენე ფედერალისტები და კომუნისტები.**

როგორ შეხვდნენ საქართველოში მომქმედი პარტიები რუსეთის თებერვლის რევოლუციას?

როგორც ჩვენში, ისე ევროპაში ყველა დემოკრატიული პარტია თებერვლის რევოლუციას აღტაცებით შეხვდა. აქ ჩვენთვის სრულიად არ არის საინტერესო დახასიათება ამ აღტაცების. საკითხის სამძიმე აქ არ არის ჩამარხული.

რუსეთის რევოლუციის სირთულე იწყება მას შემდეგ, რაც მოძრაობის სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები, ესე იგი იმ დროდან, როცა რევოლუციამ აშკარა სოციალისტური ხასიათი მიიღო, მას შემდეგ, რაც რუსეთის რევოლუცია ნაციონალურ საზღვარს გასცილდა და საერთაშორისო ხასიათი მიიღო, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს იმპერიალისტებს დავთარი აერიათ და მოინდომეს რუსეთის ჩაყლაპვა, რაც რუსეთს შემოესია უამრავი იმპერიალისტური ლაშქარი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“.

ყველაზე საშინელი, ძნელი, რთული, საპასუხისმგებლო იყო 1919 და 1920 წლები, ეს ხანა სამოქალაქო ომების რუსეთის შიგნით, ხანა ეკონომიური კრიზისის, ხანა იმპერიალისტურ ჯარების შემოსევისა.

ჩვენ რუსეთისათვის ამ მძიმე პერიოდს იმიტომ ვიღებთ განზრახ, რომ მაშინდელი საქართველოც მოვიგონოთ. ამ დროინდელი საქართველო იყო დამოუკიდებლობის ქარ-ბუქში გახვეული, როცა კომუნისტებისათვის საქართველოში ჯოჯოხეთური პირობები იყო შექმნილი.

სად ვიყავით მაშინ და რას ვაკეთებდით?

ჩვენ გვინდა რევოლუციის ისტორიის წინაშე წარვსდგეთ და თვით ი. ბ.—ს, ამ ჩვენს უსასტიკეს პროკურორს ამოწურული პასუხი გავსცეთ მის მიერ დასმული კითხვებით.

მაგრამ ნება მიბოძეთ კიდევ ერთი შენიშვნა წაუმძღვარო ჩვენს მსჯელობას. ბევრი ისე შეგვეჩვია ჩვენ, რომ კომუნისტი ვგონივართ. ჩვენ ვიყავით პასუხისმგებელი წევრი კომუნისტებისათვის გარეშე პარტიის, სოციალისტ-ფედერალისტის პარტიის, პარტიის, რომელსაც ძალიან ცუდი რეპუტაცია ქონდა დამსახურებული, პარტიის, რომელსაც გაგონება არ შეეძლო კომუნისტების.

ჩვენც რომ მეტი მოგვეთხოვოს, ამიტომ ვაცხადებთ: დაგვისახელეთ მსოფლიოს თუნდაც რომელიმე სხვა პარტიის რომელიმე ფრთა ჩვენებრ მხნედ და შეუდრეკელად მსახურებოდა რევოლუციას თვით უმძიმეს ხანაში და კერძოდ ბოლშევიკებისათვის?

როგორც განსაზღვრულ პარტიის წევრები ჩვენ ვებრძოდით და ვეკამათებოდით კომუნისტებს. ასეთს ბრძოლას და კამათს ჩვენ დღესაც ვაწარმოებთ, მაგრამ ვაცხადებთ საჯაროდ, არასოდეს ეს ჩვენი ბრძოლა და კამათი არ ყოფილა დაპირისპირებული საერთაშორისო რევოლუციის, პირიქით ბოლშევიკების კრიტიკას ვაწარმოებდით თვით რევოლუციისათვის.

ვინაიდან ჩვენ ვეხებით მეტად კრიტიკულ ხანას, კიდევ უნდა აღვნუსხოთ, რომ საქ. სოც.-ფედ. პარტია ერთ მთლიან ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელშიაც ორი მძლავრი, დიამეტრად საწინააღმდეგო მიმართულებას ქონდა ადგილი. სოციალ-დემოკრატიული პარტია რომ გაიყო ორი მიმართულება დაიბადა სააცრად დაპირისპირებული. საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაშიც ორი მთავარი მიმართულება ჩამოასხა რუსეთის რევოლუციამ, რაიცა დამთავრდა ორი პარტიის შექმნით: მემარჯვენეების და მემარცხენეების.

ჩვენი პარტია ერთბაშად ისევე არ გასკდარა, როგორც ერთბაშად არ გასკდა სოც.-დემოკრატიული პარტია მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე. მე და რამდენიმე ჩვენს ამხანაგს შევეძლო ზურგი გვექცია ფედერალისტთა პარტიისათვის 1919 წელშიაც, პირადად ჩვენთვის ეს იქნებოდა ძლიერ კარგი, მოლალატის ეპიტეტს მაინც ვერ მოგვაკერებდა მენშევიკური პარტია, მაგრამ ეს იქნებოდა ორიოდე კაცის გამოსვლა, რასაც არავითარი პოლიტიკური ღირებულება არ ექნებოდა. ჩვენ უნდა გვეწარმოებია პარტიაში სასტიკი ორგანიზაციული და ლიტერატურული მუშაობა, რომ შეგვექმნა ჩვენი აზრის მძლავრი კადრი და გადაგვეხარა ძველი პარტია სოციალისტური პრაქტიკისაკენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ჯგუფი პარტიაში გაიმარჯვებდა, ჩვენ მუდამ ვამარცხენებდით პარტიას და იქამდე მივიყვანეთ, რომ მთელი პარტია ითვლებოდა მენშევიკების ხანაში ფორმალურ ოპოზიციაში.

ამგვარად, ერთი მიმართულება, მემარჯვენენი მენშევიკურ თვალსაზრისს იზიარებდნენ და მენშევიკურადვე მუშაობდნენ, მეორენი, მემარცხენეები ბოლშევიკურად მსჯელობდნენ და ბოლშევიკურადვე მოქმედებდნენ.

აი—ამის საბუთები მოგვეცითო-ჩამოჩურჩულებს ყურში ამხ. ი. ბ.-ი.

—ინებეთ.

დავიწყოთ სალიტერატურო ბრძოლებიდან. მთავარი საბრძოლველი საკითხი იყო ხასიათი რუსეთის რევოლუციის. არის თუ არ არის რუსეთის რევოლუცია სოციალისტური და საერთაშორისო რევოლუცია? ეს იყო ძირითადი საკითხი.

ლენინი ამბობდა: რუსეთის რევოლუცია სოციალისტურიცაა და საერთაშორისოც.

პლეხანოვი-ლები ამბობდნენ, რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულია და ნაციონალური. და რაკი კომუნისტები მენშევიკების გაგებით რუსულ ბურჟუაზიულ რევოლუციას სოციალიზმისაკენ სწევდნენ,-მენშევიკების სახელოვანი ფალავანი ირაკლი წერეთელი გაიძახოდა: კომუნისტების მოძრაობა ქაოსია, ანარქიაა, უდიდესი რეაქციააო. ამასვე ამბობდნენ მემარჯვენე ფედერალისტები და მენშევიკებივით ებრძოდნენ კომუნისტებს.

სად ვიყავით და რას ვამბობდით ჩვენ? ავიღოთ საბედისწერო, საშინელი 1919 წელი. ყური დაუგდეთ ამხ. ი. ბ., 1919 წელი და არა 1921 წელი!

მაგრამ თუ გნებავსთ 1917—18 წელი ავიღოთ, ესე იგი ის ხანა, როცა საბჭოთა წყობილებას, დიქტატურას და სხვა ასეთ მცნებას თვით კომუნისტური პარტიაც ნაკლებად იცნობდა, და ვინ იცის, ლენინი რომ არ ყოფილიყო არც არავის ცოდნოდა, ესე იგი ის ხანა, როცა კომუნისტები ჯერ კიდევ გაუმაგრებელი იყვნენ, როცა-როგორც იტყვიან-კომუნისტები ბამბის ძაფზე ეკიდნენ, აი ამ დროს ჩვენ რას ვამბობდით?

მე არ ვლაპარაკობ აქ უბრალო წერილებზე. ვიღებ ოფიციალ დოკუმენტს, სოც.-ფედ. პარტიის კონფერენციას, ამ კონფერენციის დაბეჭდილს და გამოქვეყნებულ ოქმებს და ის „გულის სიმღერას“ ამხანაგო ი. ბ.

ეს კონფერენცია გაიმართა 1918 წელს, 6 იანვარს, მაშინ, როცა ეს-ეს იყო 1917 წელი ჰირმა წაიღო და18 წელი გაიშალა. 6 იანვრის კონფერენციაზე მომენტის საკითხი იყო დასმული. წყეული საკითხი! სად არ ისმებოდა ეს საკითხი, მაგრამ აი საინტერესო ამბავი: ერთი საკითხია, ერთი საგანია, მაგრამ ერთი მომხსენებელი კი არაა, არამედ ორი. ერთია თქვენი უმორჩილესი მონა, მეორეა გრ. რცხილაძე. გამართული ბრძოლა, გაჩაღებული კამპანია! ერთი პარტია, მაგრამ ორი თვალსაზრისი, ერთი ჯგუფი, მაგრამ ორი მიმართულება თედო ღლონტი და გრ. რცხილაძე!-აი სარკე პარტიის ისტორიისა, პარტიაში არსებულ ჰიდილის, ორი აზრთა წყების და დალაგების.

რას ამბობდა გრ. რცხილაძე?-აქ მე არ მაინტერესებს ეს კითხვა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რასაც ჩვენ ვამბობდით იმის წინააღმდეგ ამბობდა გრ. რცხილაძე, მე ალთას მივდიოდი, იგი ბალთას ეშურებოდა.

აი ამ ბუნდოვან, გამოურკვეველ, სულ ახალ შობილ ოქტომბრის რევოლუციაში, შორს საქართველოში, რომელიღაც ლორისმელიქოვის თუ სასახლის ქუჩებიდან ქართველ ხალხს ვეუბნებოდით: „რუსეთის რევოლუციის ზეგავლენით გერმანიის იმპერიალისტები იწყებენ ახალ, დემოკრატიულ ჰანგზე ლაღადის და გრაფი გერტლინგი თანახმაა პრუსიის რეაქციონური საარჩევნო სისტემა შესცვალოს დემოკრატიული უფლებით... სოციალისტურ წრეებში ალსანისხავია ჯგუფის-„სპარტაკი“-ს საოცარი გაზრდა, რომელსაც ამ ბოლო დროს მიემხრო გერმანიის დამოუკიდებელი სოციალისტები: ეს რევოლუციონური ორგანოები მოქმედებენ ჯარში, მატროსებში და იბრძვიან გერმანიაში რევოლუციის გასაჩაღებლად. საფრანგეთში რევოლუცია მუშებს მიაჩნია ნაციონალურ არსებობის აუცილებელ პირობად. საფრანგეთის სინდიკალისტები მხარს ემხრობიან, ციმერვალდისტებს და სტოკჰოლმის აჩაღებენ რევოლუციის ცეცხლს“... შემდეგ მოხსენება დაწვრილებით ეხება მსოფლიოში მუშათა მოძრაობას და ასკვნის: „სოციალ ფედ. პარტია, გორც ჭეშმარიტი ინტერნაციონალური და რევოლიუციონური პარტია მხარს უჭერს რევოლიუციის გავრცელებას ევროპაში, მსოფლიოში და ყოველი საშუალებით შეეცდება დაეხმაროს მამისო [illegible] ჯებს, ვინც არ უნდა გადადგას იგი ნაბიჯი“.

ჩვენ ვარკვევდით აგრედვე ოქტომბრის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას, მის პერსპექტივებს, მის მასშტაბს. „რევოლიუციის დრომდე შედგენილი სოციალისტურ პარტიათა პროგრამა ალარ შეეფერებიან ქვეყნის რეალურ ძალთა განწყობილებას. რევოლიუცია უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ამის იმედი ქონდა თვით რევოლიუციონერებს. ოქტომბრის შემდეგ რუსეთის რევოლიუციის მოთხოვნილება აღემატება სოციალისტურ პარტიის მინიმალურ მოთხოვნილებას... პოლიტიკური ობიექტიური პირობების მიხედვით ჩვენ გვწამს, რუსეთში **შესაძლებელია** (იმ დროსაა ხაზგასმული) სოციალური რევოლიუციისათვის ეხლავე მუშაობა და ბრძოლა, რომ სხვანაირად ნამდვილი სოციალისტური პარტია ვერ მოიქცევა“.

ჩვენ არ შეგვიძლიან აქ მთელი მოხსენება ამოვწეროთ. დააკვირდით ამხ. ი. ბ: ყოველ სიტყვას, ყოველ სტრიქონს, სულს, ხასიათს, ტერმინოლოგიას, აზრს და სთქვით—გეცნობათ ეს ენა? ხედავთ რაიმე მიმართულებას? გრძნობით ავტორის სითი მიდის?—თუ არც ერთი სიტყვა არაფერს ლაპარაკებს მაშინაც, როცა ეს სიტყვა ისმის დღეს, წელგამაგრებულ კომუნიზმის დროს, არამედ მაშინ, როცა კომუნისტური ძალის მხოლოდ სიღრმეები ეტები სჩანდა?

მაგრამ რაკი ამხ. ი. ბ.—ი მწერლობაში ახლად დაბადებულია და პოლიტიკაშიაც ვგონებ მეორე რიგი კბილებიც არ გამოუცვლია, თვალის სინათლე სუსტი აქვს და ყურთა სმენაც ღალატობს, განვმარტოთ ჩვენი ძახილი, ლაპარაკი, წერა, ვინძლო გაიგოს და ბოლოს რაიმე მიმართულება დაინახოს ჩვენში.

მაშინ კი კონფერენცია გათავდა ტრაგი-კომიკურად. არც ერთი ფალავანი არ წაქცეულა. ისტორია ჩვენკენ იცქირებოდა ახალგაზრდებით, ახალი სახეებით, ახალი იმედებით ჩვენი ძალები ავსებოდნენ ნორჩნი, ხალისიანნი. მეორე მომხსენებელი მზად ბერ ინგლისს ჩასჩიჩინებდა, ზღვის და ოკეანეს გემების ეთაყვანებოდა, ევროპიულ ცივილიზაციას გულმოდგინედრუკს უქმევდა და პარტიის ძველი დევ-გმირები

ყველანაირ საქმეებს, როგორც სისხლის სამართლისას, ისე სამოქალაქოს.

ეს იქმნა ცნობილი უხერხულად. მართლაც და არის დიდი საქმეები, მძიმე დანაშაულობანი, რომელთა განხილვა და ჯეროვანად შეფასება აღემატებოდა სპეციალურად მოუმზადებელ სახალხო მოსამართლეების ძალ-ღონეს. ამიტომ გადაწყვეტილია, რომ სახალხო სასამართლოებს კომპეტენციას გამოეყოს ყველა ის სამოქალაქო საქმეები, რომელთაც საძიელი ღირებულება აღემატება 500 მანეთს ოქროთი და სისხლის სამართლის მძიმე საქმეები.

ასეთის საქმეებისთვის არსდება ტფილისში საოლქო სასამართლო, რომელიც, როგორც პირველ ინსტანციის სასამართლო, გაარჩევს ასეთს საქმეებს. სახალხო მოსამართლეთა საბჭო ისპობა და მისი საკასაციო ფუნქციები გადადის საოლქო სასამართლოში. ხოლო საოლქო სასამართლოსთვის საკასაციო სასამართლო იქნება უზენაესი სასამართლო, რომელიც დაარსდება აგრეთვე 15 სექტემბრიდამ ნაცვლად ტრიბუნალისა.

განზრახულია, დიდი ცვლილება მოხდეს ვექილთა კორპორაციაშია. აქამდის ასე იყო, რომ ვექილობის ხარისხს აძლევდენ თითქმის ყველას, ვინც კი ამას ითხოვდა და ვისაც კი თხოვნის დაწერა შეეძლო.

ახლა განზრახულია, რომ დაწესდეს ერთგვარი ცენზი განათლებისა და ვექილობა მიეცეს მხოლოდ იმას, ვინც აკმაყოფილებს ასეთს მოთხოვნილებას.

საოლქო სასამართლოს წევრები უკვე დანიშნულნი არიან.

არჩეულია აგრეთვე კადრი 30 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მოახდენს გაწმენდას ვექილთა კორპორაციისას.

უნდა ითქვას, რომ ეს რეფორმა სწორედ უადრესად საჭირო იყო.

ერთი—რამ არის კიდევ საჭირო.

კანონმდებლობა დღითი-დღე რთულდება. ჩნდება საჭიროება, რომ მოსამართლეთა კორპორაცია ირჩეოდეს სპეცებისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრება და გამოცდილება მალე მოგვცემს ასეთებს მუშათა წრეებიდან.

სტუმარი.

# პარტიაში

ხუთშაბათს „13" სექტემბერს, საღამოს 6 ს. დანიშნულია მე-3-ე რაიონის ამხანაგების კრება (კახ. მოედანი № 2).

**მდივანი.**

---

შაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **სერგო ამაღლობელი** შემდეგ თემაზედ **„უტოპიური სოციალიზმი"**

დასაწყისი საღამოს 7 საათზედ. შესვლა შეუძლია პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ.

**მე-4 რაიკომი.**

---

**ძონძირ-ისულის თემი (სენაკის მაზრა).** თანახმად პარტორგანიზაციის წინა კრების (18 აგვისტოს) დადგენილებისა, 27 აგვისტოს ისულის შრომის სკოლის ეზოში გაიმართა დიდი საღამო-წარმოდგენა. თემის დიდძალი მშრომელი მოაწყდა წარმოდგენის ადგილს. ეს საღამო გაიმართა სამაზრო კონფერენციის საზეიმოთ სწორეთ ამ დღეს დამთავრდა კონფერენციის მუშაობა. საღამოს დელეგატების უმრავლესობა სენაკიდან დაიძრა ს. ისულასაკენ (ეს სოფელი დაშორებულია სენაკიდან სამოთხი ვერსით). ამათმა დასწრებამ, უნდა ითქვას, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებზე.

სცენა, ბუფეტი, აუქციონი და სხვა გასართობები ლამაზათ იქნა მოწყობილი.

ბილეთების ფასი მინიმალური იყო: 100-დან 200 ათასამდე მოწაფეები სრულიად უფასოთ ესწრებოდნენ. საღამოს მთავარი მიზანი კულტურულ და პოლიტ—პროპაგანდის პირველ მოტივებით ამოიწურებოდა,

პირველ განყოფილებაში ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გრიშა ხოფერიამ. ამხანაგი დაწვრილებით შეეხო თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას მსოფლიო მასშტაბით. განსაკუთრებით გაკვრით აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც სწარმოებს საბჭოთა რესპუბლიკებში ეკონომიურს სფეროში. დამსწრენი მოხსენებით დიდად კმაყოფილნი დარჩნენ.

შემდეგ ამისა წარმოდგენილ იქნა „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე" კომ. 3 მოქმედებათ. წარმოდგენა შნოიანათ და მწყობრათ იქნა ჩატარებული; დაცული იყო სრული წესრიგი. წესრიგს იცავდენ თვით პარტიული ამხანაგები. სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ მომზადება და როლების შესაფერად განაწილება.

დამსწრეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ თავისი მოხდენილი თამაშით: ნატაშა ხოფერია, რომელიც ასრულდება ანასტასიას როლს, მარგალიტა ხუნწარია—ნატოს როლში, ილ. ბახტაძე და სხვები.

დიდი მადლობის ღირსნი არიან მოქ. დ. კუციას ასული და ამბ. ჯანაშია, რომელთაც გასწიეს დიდი შრომა საღამოს მოწყობაში.

საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა დილის 5 საათზე.

შაბათს, 1 სექტემბერს ისულის შრომის სკოლის დარბაზში შესდგა ძონძირ-ისულის პარტორგანიზაციის შეერთებული კრება.

კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 6 საათზე.

თავმჯდომარეობდა ამხ. სტ. ტორჩინავა, მდივნობდა ამხ. აკ. კუცია. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გრიშა ხოფერია.

დღის წესრიგში დაისვა შემდეგი საკითხები:

ა) მოხსენება სამაზრო კონფერენციის მუშაობის შესახებ.

ბ) ადგილობრივი კომიტეტის ანგარიში.

გ) ახალი კომიტეტის არჩევა.

დ) დროშა.

ე) საწევრო გადასახადი და მიმდინარე საკითხები.

ა) პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აკ. ხუნწარიამ. მომხსენებელმა მარტავ და გასაგებ (მეგრულ) ენაზე ვრცლათ გააშუქა კონფერენციის მუშაობა, ყველა ის რეზოლიუციები. რომელნიც გამოუტანია დასმულ საკითხებზე. ორგანიზაცია ღრმად დარწმუნებულია, რომ აწ მისი მუშაობა იქნება გაორკეცებული, უფრო ნაყოფიერი, ვიდრე ეს იყო დღემდე.

ბ) თემკომის მოხსენების შესახებ წლის განმავლობაში მოხსენება გააკეთა პასუხის მგებელმა მდივანმა ამხ. აკ. კუციამ. კრებამ მოისმინა მოხსენება თემკომის მუშაობის შესახებ, სცნო დამაკმაყოფილებლათ და გადავიდა მორიგ საკითხზე.

გ) ახალ კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: სტ. ტორჩინავა თავმჯდომარეთ, პ. ცანავა—წევრათ, აკ. ხუნწარია—პასუხის მგებელ მდივნათ, ნატ. ხოფერია და მიხ. არჩაია—კანდიდატებათ.

დ) დროშის შეძენა კრებამ აუცილებლათ სცნო, რომლის მოგვარება-შეძენა დაევალა კომიტეტს.

ე) კრებამ იქონია მსჯელობა საწევრო გადასახადის შესახებ და მიიღო შემდეგი: ორგანიზაციის ყოველი წევრი, გარდა ულარიბესისა, რომელსაც გაარჩევს კომიტეტი, ვალდებულია იხადოს თვიურათ ჩერვონცის კურსის მიხედვით 3 კაპიკის ანგარიში.

მიმდინარე საკითხებში დასმულ იქნა კითხვა ახალგაზრდათა ორგანიზაციის დაარსების შესახებ. გამოირკვა, რომ არის ასეთი ორგანიზაციის დაარსების საჭიროება და თან საჭირო ნიადაგიც არის ამისათვის მომწიფებული.

კრებამ დაავალა უჯრედის პასუხისმგებელ მდივნებს დაუყონებლივ აწარმოონ ახალგაზრდათა რეგისტრაცია და ანგარიში წარმოუდგინონ კომიტეტს.

აკ. ხუნწარია.

---

# მეცნიერება და ტექნიკა

**მზის სხივები სამზარეულოში.**

ბუნების მთელი ძალები გამოყენებული უნდა იქნეს—ასეთია დევიზი თანამედროვე ტეხნიკისა.

ამერიკელმა ო. აბბატმა მოაწყო აპარატი, რომლის საშვალებითაც სამზარეულოში შესაძლებელია საჭმელის მომზადება.

აბბატმა სახლის თავზე მოაწყო სარკეებისაგან აპარატი, რომელიც კრებს მზის სხივებს და ზეთიან ჭურჭლისაკენ (მიმღები) მიმართავს.

მიმღებისაგან ადუღებული ზეთი მიემართება სამზარეულოში და ახურებს ჭურჭლებს, რომლის შემწეობითაც აბბატი მთელი ოჯახისათვის საჭირო საჭმელებს ამზადებს.

მთელი ოჯახის საჭირო სადილის მოსამზადებლათ საჭიროა 4—5 საათით მოქმედება ასეთი შეკრებილი სხივებისა.

**პროჟექტორი 2 000.000 000 სანთლის ძალის.**

გერმანიაში 2,000,000,000 სანთლის ძალის პროჟექტორი ააგეს. ასეთი პროჟექტორის განათება თანამედროვე ელექტრონის შუშის სინათლეზე ორმოც მილიონჯერ მეტია. ეს პროჟექტორი, რომ დაიდგას ისეთ სიშორეზე, როგორც დედამიწა და მთვარე—350,000 ვერსი, მოგვეჩვენება ისე, როგორც პატარა ვარსკვლავი.

---

ხან-გამოშვებით უმატებდნენ—ჭეშმარიტია, მართალია!

აი ამ ორ მიმართულების შეკოწიწება დაიწყო კონფერენციამ და შეიმუშავა, უკეთ, შევხანხლეთ, როგორც გურულები იტყვიან—რეზოლიუცია. ეს რეზოლიუცია რეაქციით იწყება და სოციალიზმით თავდება, ან და სოციალიზმით დაიწყება რეაქციით თავდება. საძირკველი ჩაეყარა ოპორტიუნიზმს, გაურკვევლობას, ორ სულს და ორ გულს.

მაგრამ შედრკა ჩვენი თვალსაზრისი? მივიღეთ და დავემორჩილეთ ოპორტიუნიზმს?

— არც ერთი წუთით!

ჩვენ ვიცოდით რასაც ვლაპარაკობდით და ვგრძნობდით ერთ რასმე: ბრძოლა სუსტად დავიწყეთ, საჭიროა მხოლოდ მისი სასტიკად წარმოება, ჩვენი გაყინული და გახულიგანებული საზოგადოების გულის გალხობა და სოციალისტურ რევოლიუციის ხანაში სოციალისტური დროშის თამამად წინ წაღება.

ჩვენც ეს მოვალეობა ვიკისრეთ. უნდა აღგვეზარდა ჩვენი ბარტყები, დაგვერაზმა, ასპარეზე გამოგვეყვანა. შევსძელით ზედმიწევნით შეგვესრულებია განზრახული საქმე?

— ვერა. არც შეიძლებოდა სათანადოთ შეგვესრულებია. საქართველო რევოლიუციის მწვერვალზე კი არ იდგა, არამედ ბოლოში, ჩვენ ცხოვრებას უკან მივსდევდით და მხოლოდ ბანს ვაძლევდით. მარდათ ის მუშაობს ვინც ბრძოლას ხელმძღვანელობს. ჩვენ კი ფაქტიური მაჩანჩალები ვიყავით.

ხელს გვიშლიდა ობიექტიური მდგომარეობა. 1918 წელი არევ-დარევის წელია. რუსეთი ფაქტიურად ჩამოგვშორდა, ჩვენც მოვწყდით რუსეთს. საქართველოს საზღვარს ყოველმხრივ მტერი მოადგა და პროგრამის საკითხის მაგიერ სიცოცხლის საკითხი დაისვა.

— რა გავაკეთოთ, საით?—აი რა კითხვები იდგა. თავს როგორ უშველოთ—აი რა იყო სალაპარაკო.

— ქუდზე კაცი, ქალიც და ბავშვმა იარაღი აისხას!—გაჰკიოდა ქუჩა.

ამ პირობებმა ყველა ჩვენთაგანზე იქონია გავლენა, აგვრია, შეგვაკრთო, აზროვნებაში რყევა შეიტანა, წამოგვაჩოქა საქართველოს დამოუკიდებლობის და სეპარაციის წინაშე.

მაგრამ ეს იყო მომენტი, მცირე პერიოდი. საერთო მდგომარეობა მალე გამოირკვა. ოსმალეთის მაგიერ ევროპამ დაგვადო მძიმე ხელი, კოლონიალურ მდგომარეობაში ჩავარდით, რუსეთის რევოლიუციაც არ მოისპო, კრიტიკულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ იბრძოდა, საჭირო იყო მისი დახმარება, რომ ჩვენც მოვშორებოდით კოლონიალურ მდგომარეობას.

პარტიის მემარცხენე ელემენტებიც უფრო ირაზმებიან და 1919 წლიდან იწყებენ სისტემატიურ კომპანიას.

პირველყოვლისა საჭირო იყო ძირი გამოგვეთხარა იმ ბურჟუაზიული პოლიტიკისათვის, რომელსაც ჩვენში აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. „პარლამენტში—ვსწერდით ჩვენ „სახალხო საქმის" 1919 წლის 29 იანვრის ნომერში—ეკონომიურმა საკითხმა ქართველობა გაჰყო ორ ნაწილად. ერთ მხარეს იდგნენ სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები, რომელთაც ერთი პრინციპიალური საფუძველი ქონდათ—ბურჟუაზიული პრინციპი, ხოლო მეორე მხარეს იდგნენ სოც.-ფედ. და სოც.-რევ., რომლებმაც სოც.-დემ. პარტიას დაუპირისპირეს სოციალური პოლიტიკა".

სოც.-დემოკრატიამ დრო მოჭამა, მისი ლვაწლი წარსულს ეკუთვნის. „სოციალ-დემოკრატების ლამაზ სურათებს ჩვენც დიდის პატივით მოვეპყრობით და სათანადო გვირგვინში ჩვენც მივიტანთ დაფნის ფოთლებს, მაგრამ ეს გმირები წარსულის გმირებია".

ასე დაიწყო პარტიის მემარცხენე ელემენტმა ბრძოლა. „რევოლიუციამ მოსპო—ვსწერდით 19 წლის 1 თებერვლის ნომერში—ძველი წყობილება, მაგრამ რა მოუვიდა სოციალ-დემოკრატიულ ოპოზიციას? ბევრს გონია, რომ მემარცხენეობის და რადიკალიზმის დამახასიათებელი თვისება თავგანწირულ ბრძოლაში გამოიხატება. არც კატორღა, არც ციხე, სახრჩობელა არ არის რადიკალიზმის ბარომეტრი. თავისუფალი ეკონომიური აღებ-მიცემობა, თავისუფალი ვაჭრობა, მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადება, ყიდვა-გაყიდვა, იჯარა, დაქირავებული შრომა, კერძო ბანკების სისტემა—აი რა შეადგენს სოც.-დემ. პარტიის ფილოსოფიას. **ზომიერი თავისუფლება**—აი მათი სიბრძნე".

ეს პოლიტიკა აშორებდა ჩვენს ხალხს სოციალიზმს, რევოლიუციას. ამიტომ იქვე ვსწერთ: „ამას მივაქცევთ ჩვენი საზოგადოების მშრომელი ნაწილების ყურადღებას იმიტომ, რომ სოც.-დემ. თავიანთი მუშაობით შექმნეს სოციალიზმის ერთგვარი კრიზისი".

„სახალხო საქმის" თებერვლის 6-ის ნომერში ჩვენ ვწერთ: „ბურჟუაზიულ პროგრამას, რომელიც ხელში აულია სოციალ-დემოკრატიას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, მას ვერ მივყვებით, მას არ შეუერთდებით. ეს გარემოება გვაიძულებს ხელი გაუწოდოთ საქართველოს ხალხს და უთხრათ: შენ ალსდევი სოციალიზმის დროშით, მაგრამ სოციალიზმის დროშით შენი განვითარება სოც.-დემ. არ შეუძლია".

სოციალ-დემოკრატები საქართველოს სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნისას უარყოფდნენ სოციალისტურ ელემენტს. ამისათვის მათთვის საჭირო იყო ბოლშევიკების სოციალისტური შემოქმედების გათახსირება. მაგრამ რაკი ჩვენ ვამბობდით სოციალისტურ აღმშენებლობას ჩვენ ვიცავდით ბოლშევიკების პოლიტიკას.

საკვირველია ჩვენ ვიყავით ცუდი დამცველები, მაგრამ როგორც შეგვეძლო, ისე ვმუშაობდით. „სახალხოს" თებერვლის 9 ნომერში ჩვენ ვსწერდით: „დიდი ბრძოლა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა გასწიეს ქართულ სახელმწიფოებრიობის შენების დროს—არის ბრძოლა ბოლშევიზმთან. დიდი ამაგი, თავ-განწირულება, გატაცება მიუძღვის სოც.-დემოკრატიას ამ საქმეში. მაგრამ ერთი რამ არ შეიძლება არ აღინუსხოს, რანაირადაც არ უნდა შეეხოთ ამ მოვლენას ერთი ყოველ ექვს გარეშეა: ბოლშევიზმი მოხდა თანამეორროვე ხანაში, რევოლიუციის დროს, როცა ყოველი მოქალაქე მოითხოვდა რევოლიუციის გაღრმავებას. ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აქტი—ფაქტია და პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია დაწვრილებით არ იცნობდეს მის ასავალ-დასავალს, მაგრამ ვნახეთ ჩვენ ამ საგანზე აზრთა ჭიდილი, მოვლენის გაგება და დაფასება? ჩვენი წერილები ბოლშევიზმის დაცვა არ არის. ჩვენ მხოლოდ გვინდა ავსახოთ ის ელემენტები, რომელიც ბოლშევიზმს შეაქვს თანამედროვე სახელმწიფოს შექმნის საქმეში და შემდეგი საკითხი წამოვაყენოთ: არის თუ არა ამ ელემენტებში ისეთი ფაქტორები, რომელნიც ახალ აზრებს და თანამედროვე ცხოვრებას შეეფერებიან და რომელთაც გამოყენება ამა თუ იმ ქვეყანაში შესაძლებელია?"

ამ საგულისხმიერო პასუხს ჩვენ დადებითი პასუხი მივეცით, მაგრამ ვინაიდან აზრის ტლანქად წარმოთქმას გაჩუმება სჯობდა, ჩვენ დიდაქტიკა მოვიგონეთ და დავიწყეთ: „ბოლშევიზმს ქართველი ხალხი იცნობს, როგორც, ველურობას. განა ამას თავისი საბუთი არ აქვს?—უეჭველია აქვს. მაგრამ —რასაკვირველია—თვით ამ ველურობის მიზეზი ჩვენ ერთხელაც არ შეგვისწავლია. იქ, სადაც ბრძოლის ცეცხლია დანთებული, ხოლო ომია გაჩაღებული—იქ ყველგან ველურობაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, თვით შიდა „სოვდეპიაში" უამრავ შესაზარ საქმეებს ქონდა ადგილი. დიახ, ეს ფაქტია, მაგრამ ძალიან ადვილად გასაგები. თვით საქართველოშიაც, სადაც რევოლიუციის გავლენა და რეფორმა მხოლოდ რევოლიუციის ზედაპირს შეეხო, რეფორმა წყნარად და მშვიდობიანად არ ჩატარებულა. რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი იცის ქართლმა და კახეთმა რევოლიუციის დროს? მაგრამ იქ, სადაც რევოლიუცია გაცილებით რადიკალურად გაიგეს, სადაც მიწის დატოვების ნორმა წალეკეს, სადაც ნაციონალიზაცია საოცარის სახით გაატარეს მრეწველობაში, მეურნეობაში, სახლების მფლობელობაში, სადაც მრავალი მოქალაქე ქუჩაში გამოვარდა, უამრავი გაკოტრდა, ე. ი. სადაც ინტერესები საოცრად გატიტყლდნენ და გაალმასდენ, რასაკვირველია, გამოიწვევდა ასეთ სისხლის ღვრას. განსაცვიფრებელი ის კი არ არის თუ რად ქონდა ადგილი რუსეთში გამწვავებას, საოცარი ის არის, რომ ამ გამწვავებაში ბოლშევიზმი არ მოკვდა. **ბოლშევიკურ მოძრაობაში დავინახეთ მრავალი ბარბაროსობა, როგორც თვით ჩვენივე ხელით წარმოებულ ომებში ვხედავდით ბევრ ისეთს, რომელიც არ მოგვწონდა, რომელსაც ბარბაროსობად ვთვლიდით, მაგრამ ბოლშევიზმს, როგორც პოლიტიკურ სისტემას ჩვენ ბარბაროსობად არა ვსთვლით**". 1919 წლის 9 თებერვლის ნომერი.

ასე ფთხილად შეუდექით ჩვენ რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელების გამართლებას და მათი პრაქტიკის გადმოტანას საქართველოში.

დიახ, შეუძლებელია ბოლშევიკების ბარბაროსებად დასახვა, იმავე წერილში შემდეგს განვაგრძობთ: „ბოლშევიზმს დიდი ადგილი აქვს რუსეთში, ხოლო გერმანიაში ბოლშევიზმი გავრცელდა სისწრაფით. ჩვენი სოციალ-დემოკრატები მუდამ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ საქართველოში კულტურა რუსეთიდან შემოვიდა, რომ რუსეთმა განაახლა და აამაღლა საქართველო, ხოლო დღეს კი იგივე სოციალ-დემოკრატები, რომელნიც რუსეთში ხედავენ ბოლშევიზმს—მიაჩნიათ იგი ბარბაროსების ქვეყნად. რაშია საქმე? როდის იყვნენ სოციალ-დემოკრატები მართლები? რუსეთის კულტურის საუკეთესო ადგილები მოსკოვის და პეტროგრადის სამრეწველო რაიონებია, მაგრამ ეს საუკეთესო კუთხე რუსეთისა ამ ჟამად ყველაზე ჩამორჩენილად არის გამოცხადებული, რასაკვირველია ამას ჩვენ არც არავინ დაგვიჯერებს და ეს ნამდვილად არც სოციალ.-დემ. სჯერათ".

არა, რუსული რევოლიუცია სოციალისტური რევოლიუციაა და არა ქაოსი, არა ბარბაროსობა, იქვე ვსწერდით: „მეოცე საუკუნის რუსულ-გერმანული რევოლიუცია სამარის გათხრაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოისა"... „აქ არის რევოლიუციის ექსპრესია, სადაც დაიბადა ახალი სახეები სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისა".

ზამთარში, სუსხში, თებერვლის ქარ-ბუქში, მძიმე 1919 წელს იწერებოდა ყოველივე ეს. მაგრამ გაზაფხულის გრძნობა, ბუნების სტიქია (მომავლის იმედი ჩვენს გულს კიდევ მეტის იმედით ავსებდნენ და ჩვენ განვაგრძნობდით კიდევ მეტის ხალისით რევოლიუციის სამსახურს.

მგონი, ამხ. ი. ბ. ისევ ჩვენთან არის, ამხანაგი ფილიპეც გვიგდებს ყურს და ამიტომ ჩვენც უნდა ჩამოვაყალიბოთ სურათი სრული, მთლიანი, უნაკლო, ჩვენი ნამდვილი სარკე.

თედო ღლონტი.

### უძლიერესი სითბოს განვითარება.

ამერიკელმა—ჯონ გარისმა ხელოვნური ლალის მიღებისას მოხდენილათ შეაერთა მჟავბადის ალი ანილიტის (анилитовый) გაზთან, რომლის საშვალებითაც მან ჯერ არ ნახული სითბო მიიღო. ამ საშვალებით ტემპერატურა მან აიყვანა 6,000 (ექვსიათას) გრადუსამდე. ამ სიცხეში დნება ალიუმინიც კი, რომელზედაც დღემდე არსებული—ცნობილი—ტემპერატურა ვერ მოქმედებდა. ორი დიუიმის სისქის ფოლადის ნაჭერი დნება ერთი წუთის განმავლობაში. ყველაზე მაგარი ფოლადის ნაჭერი იშლება ათ წუთში, რომლისთვისაც ამდენხანს საჭირო იყო ოცი საათი.

გარისის ახალ მოგონებას მრავლმხრივი მნიშვნელობა აქვს. უზარმაზარი მანქანის ნაწილები, რომლებიც უკვე დაძველდა და საჭიროა მათი მანქანიდან გამოღება, შესაძლებელია წვრილ-წვრილ ნაჭრებათ დაიჭრას რამდენიმე საათის განმავლობაში, მაშინ, როდესაც ამდენხანს კვირეები და მთელი თვეები იყო ამისათვის საჭირო.

# საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

სამხედრო კომუნიზმის ბრძოლის პერიოდმა რესპუბლიკათა შინაგანი მრეწველობა, განადგურებამდე მიიყვანა. წარმოების და ტრანსპორტის დაცემამ, სამოქალაქო ომმა სახელმწიფოს მდგომარეობა შეაფერხა და მისი ყოველგვარი დასამუშავებელი ნედლი მასალა ქარხანა-ფაბრიკებში მინიმუმამდე დავიდა. სახელმწიფოს ამ მხრივ დიდი ეკონომიური გასაჭირი დაუდგა, ვინაიდან ქაღალდის ფულის ემისიის გადიდებამ და სამოქალაქო ომმა უფრო არია ემისიის საქმე.

მაგრამ გავიდა დრო სამხედრო სამხედრო კომუნიზმის, დადგა შესაძლებლობა სამეურნეო აღმშენებლობისათვის. და ჩვენ უკვე ვხედავთ იმ დიდი მუშაობის გაჩაღებას, რომლის გამოხატულებაც არის დღევანდელი სისოფლო-სამეურეეო გამოფენა.

გამოფენის წინა ფონზე გამართულია დღევანდელი სოფელი მისი ტიპიურ განსახიერებულ ეზოებით, ქოხებით, შენობებით და სხ. აქ არის დასურათხატება სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა და მისი შრომის ნიმუშები. ძველი დღევანდელ სოფლის გვერდით მოსჩანს მომავალი სოფელი, რომელიც სახლებით, ფართო და სწორი ქუჩებით, ბაღხეხილებით, კოოპერატიული დუქნებით, კლუბებით სამკითხველო-ბიბლიოთეკებით, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებით, ელექტრონის სინათლით და მანქანებით. ეს არის ჩვენი მომავალი სოფელი.

სოფელი და ჩვენი გლეხობა—ეს ჩვენი იმედი და მასაზრდოებელი ძალა და ამიტომაც სოფელს აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, მას აქვს სპეციფიური, შრომის განსახიერება—მაწარმოქმედების სხვა და სხვა დარგის ექსპონატები (ნიმუშები), მისი ინტენსიურად გადამუშავებული ბოსტნეულობა, მებაღეობა, თივის შეგროვება მიწის კულტურულად დამუშავება, ტყის მეურნეობის სახეები და სხვა. გამოფენა ნათელ სურათს იძლევა მეურნეობის ნაწარმოებთა და ნამუშავართა გადახალისების. აქ არის რძისგან ყველის, ერბოს, კარაქის გადამუშავება მანქანებით, რძის სითხის სარგებლობა და გამოყენება სხვა და სხვა ნაწარმოებისათვის. ეს ხდება მანქანებით, უცბად კულტურული საშუალებით. აქ არის ლაბორატორია, ერბოს და ზეთის გამოსახდელი ქარხანა და მისი პუნქტები.

საქსოვ ნაწარმოებთა სინდიკატი უჩვენებს მაყურებლებს, თუ როგორ ხდება მატერიის მოქსოვა ქარხნებში, მისი გადამუშავება უბრალო მოქსოვილ ძაფიდან, შეღებვა და მოქსოვა მანქანებში.

ტყავის სინდიკატის ექსპონატები მოწმობენ თუ როგორ გადამუშავდება ხოლმე საქონლის ტყავისაგან საუკეთესო ტყავეულობა ფეხსაცმელთათვის თუ ტანისამოსისათვის.

სასოფლო სამეურნეო იარაღის და მანქანების გამოფენას განსაკუთრებული ალაგი უჭირავს და იგი მეტყველებს თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში ტეხნიკას: გამოფენაზე არის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ექსპონატების მთელი რიგი სურათები. უკანასკნელნი მეტყველობენ თუ რამდენად წინ გაუსწრია ევროპის მეურნეობას ჩვენზე და საჭიროა დიდი ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების, რომ ჩამორჩენილი ჩვენი სოფელი ევროპის კულტურულ სოფლის დონემდე ავიდეს.

განსაკუთრებით საინტერესოა ელმაშტრესტის სოფლის ელექტროფიკაციის ექსპონატები, რომლის სამი ელექტრონის სადგური სხვა და სხვა ძალის სხვა და სხვა საჭიროებას ხმარდება: ერთი ანათებს სოფელს, მეორე ლეწავს, ანიავებს და სხვა, მესამე ამოძრავებს წისქვილებს, ქარხნებს, ერთი სიტყვით სოფელი—მეურნეობის პრიმიტიულ ფორმიდან უმაღლეს ფორმამდე მისულა.

კოოპერაციას ნიმუშების რაოდენობით პირველი ალაგი უჭირავს 112.000 ექსპონატს. ცენტრო კავშირის პავილიონი ორ სართულიანია და ექვს განყოფილებიდან შესდგება: საერთო საორგანიზაციო, სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო, სავაჭრო, ავტონომიურ დაწესებულების და მის დამხმარე წარმოებების და საგარეო ვაჭრობისა. მონაწილეობენ თავის ნიმუშებით შაქრის ტრესტი, მოსკოვის სოფლის მრეწველობა, მოსკოვის შალის ტრესტი, ტყავის სინდიკატი, თამბაქოსი, ფარმაცევტიული, სახელმწიფო სპირტი, კონსერვების დამამზადებელი ბიურო და სხვა მრავალი გაერთიანებული თუ ცალკე ტრესტები.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უცხო სახელმწიფოთა განყოფილების გამოფენა, რომელიც გაიხსნა აგვისტოს 26-ს და რომლის გახსნას დიდი ზეიმი ჰქონდა ამ განყოფილებაში 18 პავილიონთა, რომელთა შორის ნაციონალური შენობანი არის იტალიის „ჩიჩე"—15 ფირმის მონაწილეობით, ჩეხო-სლოვაკიის „ჩეხო-მანქანა", ლატვიის „იზსტადე" და სხვა და სხვა სახელმწიფოთა მონაწილეობით პავილიონი 100 ფირმათა მონაწილეობით.

ამ უცხო განყოფილების შუა აღმართულია სტადიონი, რომელშიც იმართება სპორტული მრავალფეროვანი გართობანი.

**გამოფენაში მონაწილეობენ;** 1. **გერმანია,** რომელიც წარმოდგენილია 118 ფირმის სახით, მათ მოუტანიათ სამეურნეო იარაღები და მანქანები, ხის დასამუშავებელი იარაღი, საქსოვი მანქანები, დასართობი დარგები, საბეჭდი მანქანები, ავტომობილები, მიწის გასანაყოფიერებელი ნივთიერებანი.

2. **დანია-ჰოლანდია და გერმანია**—24 ფირმის სახით.

3 **ჩეხო-სლოვაკია**—24 ფირმა, მათი ნიმუშებია—სეპარატორები, გუთნები, ბზის გასალეწი და დასათესი მანქანები და სხვა.

4. **ამერიკა**—ჩრდილოეთ ამერიკის 18 ფირმათა კავშირი. მათი ექსპონატებია—დასათესი მანქანები, ტრაქტორები, ტყავის ნაწარმოებნი და სხვა.

5. **იტალია**—16 ფირმა.

6. **ინგლისი**—14 ფირმა. მათი ექსპონატები უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

7. **ავსტრია**—30 ფირმა.

8. **განაპირა სახელმწიფონი პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და ფინლანდია** აგრეთვე დიდ მონაწილეობას იღებენ გამოფენაში.

9, **საფრანგეთი**—7 ფირმა.

10. **ბელგია**—4 ფირმა.

11. **ჰოლანდია**—6 ფირმა.

12. **დანია**—4 ფირმა.

აღმოსავლეთი სახელმწიფონი განსაკუთრებითი ყურადღების ცენტრია. აქ არის სპარსეთი, ჩინეთი, იაპონია და პალესტინა სხვა და სხვა ფირმებით მონაწილენი.

ბოლგარეთს უარი ეთქვა გამოფენაზე მონაწილეობის მიღებაზე იმ მოტივით, რომ რუსეთის ქვეშევრდომისადმი ბულგარეთში რეპრესიები არის მიღებული.

გამოფენაზე იკითხება ლექციები, მოხსენებანი დებულებანი სასოფლო სამეურნეო საკითხების და მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გარშემო.

გამოფენაზე აურაცხელი, რამდენიმე ათასი და ათი ათასი სტუმარია ჩამოსული, როგორც ევროპიელი, ისევ საბჭოთა სახელმწიფოდან, განსაკუთრებით გლეხები, მუშები, რომელთა დასახვედრად და გამოფენის დასათვალიერებლად ცალკე სექციები არსებობს გამოფენაზე.

საბჭოთა ფედერაციის სახელმწიფონი ამ ჟამად დღესასწაულობენ თავის გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე, ვინაიდან ფაქტი ამ გამოფენისა აშკარად მეტყველობს, რომ ქვეყნები არსებითად სდგანან აღორძინების გზაზე, რომ მათი მომავალი უზრუნველყოფილია.

ყოველივე ეს თავდებია იმისა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის გამარჯვებას.

გრიგალი.

## ხელოვნება

### ქართული დრამატიული სტუდია.

1923—24 სასწავლო წელს, აკაკი ფაღავას დრამატიულ სტუდიაში, რომელიც განათლების კომისარიატის დადგენილებით სახელმწიფო სტუდიად გარდაიქმნება, იწარმოებს წმინდა სტუდიური ხასიათის მუშაობა, რაიც გამოიხატება ნაწყვეტებისა და და მთელი პიესების დადგმაში.

ჯერ-ჯერობით მზადდება გერმანელი ექსპრესიონისტი **ერნესტ ტოლერის** პიესა „ადამიანი—მასსა" დადგმა აკაკი ფაღავასი: „ბერტრან-დიბორნ"—**ლუნცისა**—დადგმა ალ. ახმეტელისა.

იქნება დადგმანი კ. მარჯანიშვილისა და მ. ქორელისა, რომელიც ჯერ დასადგმელი პიესა არ ამოურჩევიათ. განზრახულია აკაკი ფაღავას დადგმით „გმირი"—სინგისა და „ტურანდოტ"—გოცცისა. მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა დაამთავრა „ადამიანი—მასსის" დეკლარაციის ესკიზები და წარუდგინა სტუდიის ხელმძღვანელს და რეჟისორს, რომელმაც მცირეოდენ შესწორებით მოიწონა და დაამტკიცა ხსენებული ესკიზები.

სტუდიასთან არსებულ დრამატიულ სკოლაში პირველსა და მეორე კურსზე ისწავლება შემდეგი პრაქტიკული საგნები: 1—ქართული მეტყველება, 2—მეტყველების ტეხნიკა, 3—მხატრული მეტყველება, 4—პლასტიკა, 5—რიტმიული გიმნასტიკა, 6—აკრობატობა, 7—ფარიკაობა, 8—გრიმი, 9—პარიკების კეთება, 10—ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება, 11 იმპროვიზაცია და მიმოდრამა, 12—სიმღერა, 13—სცენები და ნაწყვეტები, 14—პიესების დადგმა: თეორიული: 15—ანატომია და ფიზიოლოგია, 16—საერთო ფსიქოლოგია, 17—სასცენო ფსიქოლოგია, 18—თეატრის და სასცენო შემოქმედებათა ისტორია, 19—ლიტერატურის და დრამის ისტორია, 20—ხელოვნებათა ისტორია, 21 ტანისამოსის ისტორია, 22—ქართული ყოფა-ცხოვრების და ტანისამოსის ისტორია, 23—ქართულ ხელოვნების ძირითადი კითხვები, 24—ესთეტიკა.

სტუდიის მასწავლებლებად მოწვეულნი არიან: პროფესორები: ი. ჯავახიშვილი, ა. ნათიშვილი, დ. უზნაძე, გ. ჩუბინაშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, პ. გრინევსკი; რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, ალ. ახმეტელი, გ. ქორელი, აკ. ფაღავა; გრ. რობაქიძე, დ. შევარდნაძე, ვ. ქლენტი, ნ. შიუკაშვილი, გ. დიდებულიძე, ი. კრუჩინინი. ენკენისთვის 15—20 სტუდიის ხელმძღვანელი გაემგზავრება პროვინციაში და ადგილობრივ წინასწარ გამოსცდის სტუდიაში შესვლის მსურველთ. განზრახულია დრამატიულ სტუდიასთან ერთად საოპერო სტუდიის შექმნა. ორივე სტუდია იქნება სახელმწიფო.

ალ—მი.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში დაისტამბა რამოდენიმე წერილი შესახებ რეჟისორ მჭედლიშვილის ჩამოსვლისა და მოსკოვში ქართული დრამატიული სტუდიის დაარსებისა, ამ წერილებში არ არის სინამდვილე სწორად გადმოცემული და არც მათი კილოა მართებული მჭედლიშვილზე, ამისათვის მთავარი სახელოვნო კომიტეტი საჭიროდ სცნობს გაცნობოთ შემდეგი.

1. კომიტეტის აზრით, სათეატრო კულტურა რასაკვირველია მოსკოვში უფრო მაღალია ვიდრე ტფილისში, მაგრამ ქართული დრამატიული სტუდია პირველ ყოვლისა საქართველოს შუაგულში უნდა არსებობდეს, ენა, სიტყვის რიტმი, პლასტიკა, უშუალო სუნთქვა ყოველი მისი, რაიც არტისტიულ ატმოსფერას შეადგენს,—ყველა ეს სამშობლოში უფრო იქნება მიღწეული. ამ მიზნით—კომიტეტი საჭიროდ სცნობს არსებული კერძო (აკ. ფაღავასი) სტუდიის სახელმწიფო სტუდიად გარდაქმნას.

2. კომიტეტი არ არის წინააღმდეგი, რომ პარალელურად მოსკოვში გაიხსნას ასეთი სტუდია ხოლო ამ სტუდიის შენახვას განათლების კომისარიატი ვერ იკისრებს, ამ ს. ს. ს. რ. მთავრობაში დაისვა ეს საკითხი, განათლების კომისარი მხარს დაუჭერს მის დადებითს გადაჭრას.

3. რეჟისსორ მჭედლიშვილს შეეძლო [illegible] გამოცდებში მონაწილეობა ტფილისში არსებული სტუდიისა, რომ უკანასკნელი არ დაინგრეს [illegible], კომიტეტმა ამ საკითხის [illegible] აირჩია კომისია (გრ. რობაქიძე, კ. მარჯანიშვილი, ლ. სვიმონიშვილი), კომისიას უნდა გადაეწყვიტა მჭედლიშვილთან შეთანხმებით, თუ რომელი სტუდიელი დათმობოდა უკანასკნელს მოსკოვის სტუდიისათვის, პრინციპი დათმობისა უნდა ყოფილიყო მხოლოდ პედაგოგიური.

4. არჩეულმა კომისიამ გამონახა გზახსნილი და თავის განზრახულ ზომაზე ვ. მჭედლიშვილი დაითანხმა, უკანასკნელმა აირჩია სტუდიიდან ხუთი კაცი.

5. კომიტეტი სცნობს საჭიროდ, რომ დროგამოშვებით აქაური სტუდიელები მოსკოვში იქმნენ გაგზავნილნი სასცენო მაღალი ნიმუშების გასაცნობად.

6. კომიტეტს აზრადაც არ მოსვლია, რაიმე შეურაცყოფა მიეყენებია რეჟისსორ მჭედლიშვილისათვის. პირიქით: კომიტეტი აფასებს ვ. მჭედლიშვილის სათეატრო გამოცდილებას, ამის დასტური, სხვათა შორის, ისიცაა, რომ კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა: ეთხოვოს ვ. მჭედლიშვილს ტფილისში ჩამოვიდეს და ჩაუდგეს ხელმძღვანელად აქაურ სტუდიას.

7. სხდომას დაესწრო რეჟისსორი კ. მარჯანიშვილი, რომელმაც სავსებით გაიზიარა კომიტეტის დადგენილება.

მთ. სახ. კომ. თავმჯდომარის მოადგილე

**გრიგოლ რობაქიძე.**

11 სექტ. 1923.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზ/ს სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 13 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში (დიდუბეში, გორის ქუჩა).

**აუქციონით გაიყიდება.**

ა. კ. რ. კ. გ. ზ. სხვა და სხვა სადგურებზედ მოუთხოვნელ ბარგისა, ტვირთვისა, ნაპოვნ ნივთებისა და დავიწყებულ ბარგისა.

**მეორე საჯარო ვაჭრობა.**

გაუყიდავ დარჩენილ ბარგისა დანიშნულია 14 სექტემბერს იქვე

ქვემოთ ნაჩვენები № № ბარგის გაგზავნისა და მისამართი გასასყიდ ბარგისა. დაწვრილებითი ცნობები გასასყიდ ბარგისა და ტვირთვისა მეპატრონეთა შესახებ შეიძლება მიიღოს ტფილისში სალიკვიდაციო საწყობში საჯარო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდე.

1. **მოუთხოვნელი ბარგი.** გამგზავნი სადგურის ჩვენებით № 1268 (გამოურკვეველია), 93029—სარატოვი, 6688—ბორჯომი, 861—ხერსონი.

2. **მოუთხოვნელი ბარგი.** ნაჩვენები მისამართები № 12700 აივაზიანცი, 872303 დობროფლოტი; 6293 არ არის ნაჩვენები;—35508.

3. **უსაბუთო ბარგი.** ხელის ჩემოდანი კამერები და ნაპოვნი ბარგი: 540—საოჯახო ნივთები, № 79 სიმინდი № 539, 165, 183, 68, და 242 საოჯახო ნივთები: 241 ზღვის მარილი № 1 სხვა და სხვა; 240 და 348 საოჯახო ნივთები, 157 ზღვის მარილი, 76 სხვადასხვა, 5991 სხვა და სხვა.

4. **მოუთხოვნელი ლიტერატურა.** გაზეთი და სხვა ნაწარმოები ბეჭედი № № 103403 როსტოვი, 87981 კამერები შენახვის, 118899—„რიაესკი" 73473 517 უსაბუთო; 258 უსაბუთო. 42933 უპატრონო, 103443—როსტოვი, 66443 მოსკოვი, 2240—ბაქო, 8732 ბაქო, 8266 მოსკოვ.

1—1.

**ა/კ რკინის გზათა სამართველო**

**ამით აცხადებს, რომ**

**ქალ. მოსკოვში**

თეატრის მოედანი, № 7.

დაიწყო მოქმედება ა/კ რკინის გზათა

**კომერციულმა სააგენტომ,**

**რომელიც აწარმოებს დებულებებით ნება-დართულ ყოველგვარ ოპერაციებს.**

კომერციულ სააგენტოს გამგედ დანიშნულია მოქ. ნ. ძ. კოსილოვი.

მის მოადგილედ მოქ. ი. ლ. კოტლიაროვი.

მისამართი დეპეშით: მოსკოვი—ზაკავკაზჟელდოროგ.

3—2

ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 629

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.